883

წელიწადი პირველი. ფასი ყველგან რვა კაპ.

ქარიშხალი

№ 5. ქვირა, 19 აგვისტო 1907 წ. № 5.

შინაარსი: 1) პოლიტიკა და თავისუფლება. —2 პასუხი დეგენერატს.—3 სოციალიზმის სენი.—4 ეროვნული და პროლეტარული ავტონომია.—5 საუბარი დღევანდელ ვითარებაზე.

პოლიტიკა და თავისუფლება

იყო ისეთი დროები, როდესაც საზოგადოებრივი ორგან-ზაციები არსებობდენ და მთავრობის და სახელმწიფოის ხსენება არც კი ყოფილა. არის სოციალური ფორმები საზოგადოებრივობისა დღესაც და გადახლართულია საზოგადოებრივობის სახელმწიფოებრივ ფორმებთან და შეიძლება დადგეს ისეთი დრო, როდესაც სახელმწიფოებრივი ფორმა მოისპობა და გადავა წარსულში როგორც ერთი რომელიმე მომენტი დროისა. თავისუფლების ზრდა სწარმოებს დროში და ხან სუსტდება ხან მძლავრდება, მაგრამ, რადგან თავისუფლება წარმოადგენს conditio sine gua non-ს ყოველივე არსებობისა და განთვითარებისა, ამიტომ აუცილებელია დასკვნა, რომ მანამ, სანამ არსებული, რომელიც ვითარდება, არ მოისპობა, მანამ ის იმოძრავებს უმეტესი თავისუფლებისაკენ.

თუ თავისუფლების პრინციპი უფრო ვრცელია დროში, უფრო საფუძლოვანია, არსებითია, ამიტომ ის არკვევს, თუ შესაფერად შეგნებულია, ყოველ არსებობის მოტივსაც და არსებობის განვითარების მიმართულებასაც.

ვნახოთ ეხლა რა არის პოლიტიკა.

ქალაქი ძველად გაჩნდა და წარმოადგენს თემობრივი ცხოვრების შემდეგ მომენტს სოციალურ განვითარებისა. პოლიტიკა მაშასადამე თემობრივ განწყობილებაში უცნობი იყო.

სიტყვა პოლის. polis ბერძნულად ნიშნავს ქალაქს. სიტყვა პოლიტიკა, politikè წარმომდგარია სიტყვა პოლისიდგან ანუ ქალაქიდგან და ნიშნავს ქალაქის ანუ სახელმწიფოის მართვას, სახელმწიფოის, სამოქალაქო მართველობის სულოვნებას.

ქალაქი ძველად შემოვლებული იყო კედლებით ან სხვა რამე ზღუდეებით, რომელიც წარმოადგენდა დაბრკოლებას, საზღვარს პოლიტიკურს, საქალაქო, სახელმწიფო საზღვარს. განვითარება ქალაქისა თანდათან აფერხებს თემურ განვითარებას სოფლები იქცევიან ქალაქებად და სოფლების კავშირი ქალაქების კავშირებათ. სოფლებიდგან და მათ კავშირებიდგან თანდათან იბადება ქალაქებთან ერთად სახელმწიფოებრივი ფორმები რომლებიც ამ გვარად წარმოადგენენ პოლიტიკურ ფორმებს ანუ მართველობის ფორმებს. პოლიტიკურ—სახელმწიფოებრივ ფორმების განვითარება წარმოადგენს ძველი თავისუფალი—თემობრივი—კავშირების შეზღუდვას ანუ იძულებითი შეკავშირების განვითარებას.

ის ფუნქციები, რომლებიც თავისუფლად სრულდებოდენ ხანგრძლივი განმეორების მეოხებით ხდებოდნენ ჩვეულებრივად, ჩვეულებად. ჩვეულებრივი და ჩვეულება, როგორც გამუდმივებული განმეორებული ფუნქცია, მოქმედება იღებდენ სავალდებულო ხასიათს. ეს სავალდებულო ხასიათი თანდათან ვითარდებოდა ჩვეულების, მოქმედების განმეორებასთან ერთად. ყველა ამასთან ერთად ვითარდებოდა სანქცია, ჩვეულებათა დამყარება, გამაგრება. ამ უკანასკნელით და ყველასთან ერთად ვითარდებოდა პოლიტიკა, ანუ ხელოვნება ფუნქციათა, მოქმედებათა მართვისა. მაშასადამე პოლიტიკამდი არსებობდენ ისეთი ფუნქციები, მოქმედებანი, რომლების მართვა და კალაპოტში

ჩაგდება, რომლების შეზღუდვა არავის თავში არ მოსდიოდა. დღესაც მაგალითად ადამიანი სრულიად თავისუფალი აკეთოს სახლში ზოგი საქმე სრულიად თავისუფლად, ან სჭამოს და სვას როდესაც სურს, თუ კი აქვს საშუალება და სხვადასხვა მხოლოდ მას თუ ნება აქვს სრულიად, როგორც უნდა ისე მოიხმაროს ენა საჭმელის დაღეჭვაში, მას სრულიადაც არ აქვს შეუზღუდავი თავისუფლება ამავე ენისა ილაპარაკოს, ის რაც მას უნდა, ან თუ, მაგალითად, ველურებსაც კი ჰქონდათ და აქვთ შეუზღუდველი თავისუფლება თავის მოყრისა საქმეზე საბჭობათ, ან შეკავშირების სრული თავისუფლება ნადირობისათვის, დღეს ადამიანები მოკლებული არიან ველურთა ცხოვრების პირობასაც კი; ყველა თავისუფლებათა თანდათანი დაკარგვა შეკავშითებულია პოლიტიკის წარმოშობის და თანდათანი განვითარებისა და თავისუფლების განვითარება შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკის მოსპობის განვითარებასთან.

პასუხი დეგენერატს

დეგენერატი, ავტორი თავისი და თავის ერის დეგენერაციის თეორიისა განაგრძობს თავის მშვენიერ მოღვაწეობას, რომელიც დაიწყო „აღსრულდა“ თი.

აურია ერთი მეორეში ანარქიზმი და ნაციონალიზმი და მოახდინა ანარქიზმის დეგენერაცია; ამხედრდა ლაქიობის წინააღმდეგ და მოინდომა ანარქიზმი ნაციონალიზმის ლაქიად გაეხადა; შემდეგ მთელი საქართველო დეგენერატებათ გამოაცხადა. შემდეგ თავისი ზნეობაც დეგენერაციის გზას გააყოლა იმით, რომ მე ნაციონალისტი მიწოდესო სთქვა ყრუდ და ის არ სთქვა, თუ ვინ უწოდა ნაციონალისტი და რათ უწოდა; შემდგომ ყველა ისინი, ვინც თანახმა იყვნენ იმ ადამიანის, რომელმაც მას ნაციონალისტი უწოდა და თვით მისი სახელის მწოდებელიც დეგენერატებათ გამოაცხადა არა პირდაპირ, არამედ დეგენერაციის საერთო თეორიაში; დიახ! თქვენც, თქვენისთანა ბიოლოგიური და პსიჰიური დეგენერეატი, რომ ისეთ პატიოსან ადამიანებს დეგენერატად აცხადებს, სამარცხვინოა. მე დალოცვილო, შენ თვით იძახი, რომ დეგენერატი ბრძანდები და თანაც დეგენერაციის უტყუარ ნიშნებს ატარებ, როგორც ობიეკტი მედიცინისა და შენ კიდე სხვას დეგენერატს ეძახოდე?! სირცხვილია. თუ მაინცა და მაინც გაგვამწარებ ჩვენ ვეცდებით თქვენივე სიტყვებით და თეორიით დავამტკიცოთ თქვენი სრული დეგენერაცია ზნეობრივიდგან დაწყებული გონებრივამდე, ენენევიდგან დაწყებული თბილისამდე, თქვენი სოციალ დემოკრატობიდგან დაწყებული თქვენ ნაციონალისტობამდე გზა-და-გზა პუნკტების ჩვენებით. ჩვენ თქვენ „აღსრულდასთან“ გვქონდა საქმე და თქვენ კი პირადათ ჩემზე გადმოიტანეთ საქმე და ისიც უმოავრესად. მე რომ თქვენი ზნეობრივი უნამუსობა დავამტკიცო ან თქვენ ჩემი ამით საქმეს არაფერი ეშველება. ამგვარად თქვენ უკვე და მე კი თუ მაიძულეთ მომავალში, მხოლოდ პოლემიკის დეგენერაციას მოვახდენთ; თქვენ ან მე პირადათ მთელ ქვეყნის ცენტრს არ წარმოვადგენთ, როგორც ეს თქვენ გგონიათ თქვენ შესახებ და რასაც ს.-დემოკრატების და თქვენ მოწინააღმდეგეთა უსუსურობამ შეუწყო ხელი.

პოლემიკის გამართვა, მანამ, სანამ წერილები არ გათავებულა არ არის გენერაცია აზრთა, არამედ გენერაცია გაზვიადებული თავმოყვარეობისა და მაშასადამე ამ მხრით თქვენ პოლემიკაში დეგენერატი ბრძანდებით ჯერ გამომეთქვა ჩემი აზრი და შემდეგ სავსებით დაინახავდით თუ რა ლიტერატურული დეგენერაციის ნაწარმოები იქმნებოდა შემდეგ დასდებდით მსჯავრს, რომელიც თქვენში, ყელში მობჯენილი ბავშური ხასიათით და სასაცილო, გაზვიადებული თქვენი თავმოყვარეობით, არის მოხშული.

ჩვენ გაჩერებული ვიყავით თქვენი „ამხანაგობის“ შემხედვარე მანამ, სანამ თქვენი თავმოყვარეობით იძულებული, თქვენ „აღსრულდას“ არ გამოისროლიდით, ისედაც არეულ იდეიურ ატმოსფერაში და არც გვინდოდა გვეპასუხნა თქვენთვის, რადგან შენისთანა „ცარიელ სიტყვების“ გმირთან და „იმერულ ლაქლაქის“ წარმომადგენელთან სჯა-ბაასი მეტია, რადგან ამგვარი თავის სისულელეს დაუღალავად განიმეორებს, მოგაწერს ლაპარაკით და ლაქლაქით იმას, რასაც თვით სჩადის და ასიც რომ დაუმტკიცოთ არაფერი გამოვა, რადგან ლაპარაკს

მაინც ვერ დაუშლის ადამიანი და ის კი ისევ ისე დაიწყებს ლაქლაქს.

ჩვენ პირადათ თქვენთვის არ გაგვიცია პასუხი არამედ იმ დაბრკოლებას, რომელიც გამოიწვია თქვენმა равненіе направо-მ, რომელიც გამოდიოდა თქვენი სტატიიდან და რომელსაც, როგორც ხავსს, დამხჩვალნი ეკიდებოდნენ.

დეგენერატი გვეუბნება რომ „მამული-შვილი ნიშნავს—гражданинъ,“ citoien-ს და გვაფთხილებს ამით, რომ აქაც ნაციონალის ტური ტერმინი არ მომეჩვენოს.

ვნახოთ ამტკიცებთ თუ არა ამით თქვენ თქვენს დეგენერატობას.

მამული ნიშნავს—отечество-ს, patrie-ს, მამულის შვილი—сынъ отечества-ს, fils de la patrie

ერთი გვიბრძანოს: რაღა ეშმაკია მისი აზრით მოქალაქე?

მამულის და მამულის-შვილის მცნებაში ტერიტორიის მცნებაც შედის, гражданинъ-ს, citaion-ს მცნებაში კი ტერიტორია ყოველთვის აუცილებლად არ შედის ამ გზით თუ იარა B—n-მა ყველა სიტყვებს ერთი მნიშვნელობა ექმნება ან ძლიერ მრავალი, როგორ ველურთა ენას აქვს ეს ხასიათად, მაშასადამე „აღსრულდას“ ავტორი დეგენერატია.

citoien-ი ნიშნავს სახელმწიფოს განყენებულ პოლიტიკური უფლებითი წევრს, მამული-შვილი კი ნიშნავს სახელმწიფოს გვარობითი, ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებითი წევრს.

შეიძლება ადამიანები ერთი citè-', ერთი სახელმწიფოს წევრები იყვნენ და ამავე დროს თანამემამულები კი არ იყვნენ. სახელმწიფოის და ნაციონალობის შერთვა (совпаденіе) იშვიათი მოვლენაა.

ვთქვათ ეხლა, რომ მამულიშვილი, гражданинъ-ი და მოქალაქე ერთია, როგორც დეგენერატი გვეუბნება და მხოლოდ მოქალაქე და гражданинъ-ი ვსცნოთ საყურადღებოდ, ისიც „ნამდვილი,“ როგორც ის ამბობს. ვნახოთ, თუ მოქალაქე, რომლებსაც დიდ ფასს აძლევს B—n-ი, რა ფასის არის ჩვენთვის და წარმოადგენს თუ არა დეგენერაციას იმ მიმართულებისა, რომელსაც თავიდგან მისდევდა და ეხლა დეგენერაციის გზას გაუყენა B—n-მა.

დემოკრატიის თვალში ყოველი ადამიანი თანასწორია—მოქალაქეა—პოლიტიკურად და მაშასადამე წარმოადგენს განუყენებულ სოციალურ ერთეულს. დემოკრატია ხალხის სურვილის შესატყობად და ამ სურვილის დასაკანონებლად, ე.ი. საყოველთაოდ გასახდომათ ჰკრეფს ხმებს ადამიანებისას და ეს ხმები თანასწორად მიღებულია რის გამო ადამიანებიც თანასწორად არიან მიჩნეული. დემოკრატია ყველას თანასწორ ფასს აძლევს ანუ კონკრეტულ ადამიანს არ აფასებს და მხოლოდ მათი რიცხვის უმრავლესობას აფასებს ან უმეტესად აფასებს. მას მხედველობაში აქვს განუყენებული ადამიანი—განუყენებული პოლიტიკური ერთეული—მოქალაქე.

პუჟე ამბობს, რომ „ბურჟუაზია თავის რევოლიუციის ალიონზე 1789 წ. ცდილობდა სულ სხვა მხრით მოესპო ხალხში სოციალიზაციის მისწრაფება, რომელიც თვალზე მაზოლს უჩენდა... ის არღვევდა ყველა ნამდვილ სოლიდარულ კორპორატიულ კავშირებს, ხელობის პრივილეგიების მოსპობის საბაბით... და ეკონომიურ საფუძველზე ასოციაციების აღორძინების თავიდგან ასაცდენად, ასოციაციების, რომელსაც ის გაუფრთხოდა, ის მანერვებს შვრებოდა ისე, რომ წამოეყენებია წინააღმდეგ ნამდვილი სოლიდარობის კავშირისა, რომელიც გამომდინარეობდა ინტერესთა მსგავსებიდან ფიქტიური კავშირები, რომლებიც გამომდინარეობდენ მოქალაქეობრივობიდგან (гражданственности) და დემოკრატიზმიდან...„ბატონობა ხალხისა,“ „სამშობლო“ [1]) შეიქმნენ „მოდნი“ კერპები.“

დიახ დეგენერატო!“ [2]) აი, ამ „მოდნი“ მამულიშვილობას უძახის პუჟე „პატრიოტულ ადვილს,“ ეს სხვათა შორის.

იგივე პუჟე ამბობს, რომ პოლიტიკური თანასწორობის (რომლის შინაარსი მოქალაქეა ავტ. შ.) წარმოდგენა, რომელიც უმეტესად მატყუარია, საუკუნოების განმავლობაში წარმოადგენდა ხალხთა მასსების დამამშვიდებელ საშუალებას. არ არის, გეგონებათ, საჭირო ძლიერ დიდი გამჭრიახობა იმის მისახვდომად,

1) სამშობლოს სინონიმი მამულია.

2) ვიცით რასაც გვიპასუხებენ; ეს ჩვენც კარგათ ვიცითო, მაგრამ საუბედურო ეს ჩვენზე კარგათ დაუნელა სხვა აზრებმა,

რომ კაპიტალისტები და მუშები მიწის-მფლობელნი და ღარიბები არ არიან თანასწორნი.“ „ეს გრუპიროვკა (დემოკრატიული ავტ. შ.) მოკლე დროით აახლოვებს მოქალაქეთ, რომლებიც არ არიან შეკავშირებული ინტერესების მსგავსებით,—მაგალითად მუშა და მეპატრონე,—და როდესაც ისინი შეიყრებიან, მაშინ აქვთ შეძლება განსაჯონ მხოლოდ განუენებანი და ილიუზიები.“

ამგვარად უკვე გამორკვეულია განსხვავება მოქალაქესა და მწარმებლის შორის და ცხადია, რომ ჩვენ როგორც კლასობრივ ბრძოლის ნიადაგზე მდგომთ არ შეგვიძლია ვიბრძოლოთ პოლიტიკურ ნიადაგზე და ვიხელმძღვანელოთ მოქალაქის და მამულიშვილის ინტერესებით, არამედ უნდა ვიდგეთ ეკონომიურ ბრძოლის ნიადაგზე. [1])

მუშათა კლასი არ სესხულობს არც ორგანიზაციის და არც ბრძოლის მეთოდს დემოკრატიისაგან, რადგან დემოკრატია თეორეტიულად და ნამდვილად, და მისგან გამომდინარე განუენებული ადამიანი—მოქალაქე უარყოფა არიან: პირველი კლასთა ბრძოლისა და მეორე კონკრეტული ადამიანისა—მწარმოებლისა.

პუჟე ამბობს: „პატრიოტიზმი [1]) წარმოადგენს ყველა პატრიოტისთვის განურჩევლად, მხოლოდ მონაწილეობას სოციალურ ქონების წილებში, და იმაზე მეტი სისულელე არაფერია, როგორც პატრიოტი ქონებას მოკლებული... აქედგან ჩანს, რომ მისი (პროლეტარიატის ავტ. შ.) პატრიოტიზმი—ეს უმიზეზოდ მოქმედებაა, მაშასადამე პატოლოგიური შემთხვევაა.“

ან პუჟეა დეგენერატი, ან B—n-ია სულელი, როგორც ქონებას მოკლებული პატრიოტი, ან პუჟეა პატოლოგიური მოვლენის სუბიექტი ან „აღსრულდას“ ავტორია პატოლოგიის [2]) სუბიექტი და მაშასადამე დეგენერატი.

დეგენერატი ამბობს: „მათ სიმშვენიერეს, ფრანგები რომ იტყვიან,—la mauvaise foi ემატება.“

ჩვენ მოგახსენებთ: ჩვენ ჩვენ mauvaise foi გვირჩევნია თქვენს სულის სიმახინჯეს, რომელიც იეზუიტობაში შესდგება.

1) ყოველი ძალის ხმარება პოლიტიკა არ არის.

1) patrie არის მამული, სამშობლო, პატრიოტიზმი კი მამულის სამშობლოს სიყვარულია.

2) ავადმყოფური მდგომარეობა.

დეგენერატი ამბობს: „მე ორგანო არ მაქვს რომ ამ „ვაჟკაცურად“ მოსულ მტრებს ღირსეულად და საკადრისად ვსცე პატივი და იძულებული [1]) ვარ, მივმართო „ისარს.“

ჩვენ მოვახსენებთ: თქვენ მოგიწვიეს „ქარიშხალში“ განსაკუთრებული წერილით თქვენი. წარმოდგენილი მოტივები ნამდვილი მოტივების გლახად დამფარველი მოტივი იყო. მიუხედავად, ამისა მრავალია მოწმე, რომ თანასწორ ადგილს დაგითმობდენ. თქვენი ტრაბახი, რომელიც ფინიის ყეფას ჰგავს, ჩვენ არ გვაწუხებს და საკადრის პასუხს თქვენ მხოლოდ თქვენ მიერ დაჯაბნებულ თქვენზე უვიც და თქვენზე მეტ მოლაყლაყე უაზრო ს.-დემოკრატებს გასცემთ. რაც შეეხება ჩვენ „ვაჟკაცობას“ ფრჩხილებში, უნდა მოგახსენოთ რომ თქვენი ცოდნით თქვენ ისევ თქვენსავით უვიცებთან დაიტრაბახეთ, განაგრძეთ და დავინახავთ—აი ხე და აი თქვენ, მხოლოდ იმ პირობით, **რომ** ბევრ სისულელეს ნუ იტყვით, თორემ ჩემთვის შეუძლებელი იქმნება კვირაში ერთხელ პასუხი გავსცე მთელი ერთი კვირის განმავლობაში მოგროვებულ სისულელეს.

დეგენერატი ამბობს: „მოწინააღმდეგის პირადობაზედ და აგრეთვე მის წრეზედ ლაპარაკი—უზრდელობაა“...

ჩვენ მოვახსენებთ: ჩვენ ვერ მიეხვდით ჩვენი ნაწერის რომელ ადგილს გვანიშნებს (намекает) დეგენერატი; გვიჩვენოს ადგილი და აღნიშნოს მისი ხასიათი. გვგონია „მანია გრანდიოზა“-თია შეპყრობილი დეგენერატი, როგორც მის ღირსებას შეფერის. მის წრეზე სად და რაგორ რა დავწერეთ ესეც გვიჩვენოს. თუ პირადობაზე და მის წრეზე ლაპარაკი უზრდელობაა, რათ ლაპარაკობს თავის ყოვლად უშინაარსო და დაბალი ინტელიქტის და კალმ ს ნაწარმოებში თითქმის სულ ჩემ პიროვნებაზე და რათ ლანძღავს ჩემ წრეს, რომელიც მის „მესჩანურ“ და ბურჟუა-ფეოდალური სულით გაჟღენთილ წრეზე გონებრივადაც და ზნეობრივადაც მაღლა სდგა[1].

1) უბადრუკი და უსუსური ზნეობის და თავმოყვარეობის პატრონი „ისარს“ ეუბნებიან, **იძულებული** ვიყავიო, კი მას ამის მნიშვნელობა არ ესმის და განაგრძობს B—n-ის კალთაზე ჩამოკიდებ ს, я к нему, а он...

საქართველოში პიროვნებაზე და მის წრეზე მოლაპარაკისათვის [1]) „ნიშადურს ამოცხება იციან ხოლმე რომ მსხვერპლს დიდი ხანი ეწვის ნიშადურ წასმული ალაგი,“ ამობობს ჭეშმარიტი დეგენერატი.

ჩვენ კი მოვახსენებთ: მაშასადამე ჩვენ დეგენერატს ამოსცხებენ ნიშადურს და ძლიერ მწვავედაც, თუ, როგორც დეგენერატი ამბობს, საქართველოში ეს იციან, რადგან დეგენერატი ეწევა პოლემიკის დეგენერაციას და გადაქცევს პირადობაზე და მის წრეზე. ჩვენ ველით ცოტა ხანს, რადგან უსინდისო ადამიანს თანაც იეზუიტს და შემპარავი ძაღლის ხასიათის პატრონ ადამიანს დიდხანს არ ვითმენთ, როგორც ყოველივე რეაქციას და ისეთ „სასტავს“ ამოვცხებთ რომ „ნიშადური“ დაავიწყდეს ტინიკურ ზნეობის და ტინიკურ კალმის პატრონს.

დაწერილის უცნებოდ წამკითხველ დეგენერატს სიტყვა „დასაღუპელი“ ფრჩხილებში მოჰყავს, თითქოს, მე ჩვენი ქვეყანა „დასაღუპელი“ მეგონოს.

ჩვენ კი მოვახსენებთ: ამ გრამატიკული ფორმით და ლოლიკური აზრით ჩვენ არ გვიხმარია, მაშასადამე ამახინჯებს ჩვენ აზრს და ისე აწვდის მკითხველს; სხვისი აზრის დამმახინჯებელი კი თვით მახინჯია სულით და რწმენით, par sa foi, მახინჯი კი დეგენერატია.

მართლა და დეგენერატი გგეუბნება: „ხელი შორს დაიჭირეთ და ცოტა „შემოკლდით,“ ჯენტლმენო!“

ევაშ, ევაშ ადამ! ჭკუაზე ხომ არ შეცდი?! რაც მოსალოდნელია, იმ ნიშნებს შემდეგ, რომლებიც ჩვენ გვქონია შემთხვევა გვენახა. რა გგონია თქვენი ცარიელი თავი? დახეთ! უნდა „შევმოკლდეთ“ თურმე, რადგან ბუმბერაზი (ყალბი რასაკვირველია) B—n-ი მოდის მომავალი გვიჩვენებს ვინ შემოკლდება, თუ სიკვდილმა არ გვისწრო ორთავეს. თქვენისთანა ფინია—დეგენერატი გონებრივ და ზნეობრივ ახოვნებითა ვერავის შეამოკლებს და აიძულებს სხვას თავის თავი შეამოკლებინოს.

დეგენერატი გვეუბნება: „ტყუილათ, წარმოგიდგენიათ, რომ B—n-ი მოკვდა, ან აღსრულდა, ან იდეალი დაჰკარგა; ულალატა რწმენას და სხვა.“

ჩვენ კი მოვახსენებთ: თუ Б—n-ი არ მოკვდა იმ იდეალისათვის, რომელსაც უწინ ემსახურებოდა ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნოა ვფიცავთ მახმადის წვერებს, რადგან ყოველი მოკავშირე და თანამშრომელი ყველასთვის სასურველია. ჩვენ ვერ მივხვდით რა უნდა სთქვას სიტყვებით, ან „აღსრულდა... დაკარგა“ თუ ამით ამბობს, რომ „აღსრულდა“-ს არ უარვყოფო, მაშინ „აღსრულდათი“ წინააღმდეგია თავის უწინდელი იდეალისა და მაშასადამე „აღსრულდაში“ მკვდარია უწინდელ იდეალისთვის; თუ აღსრულდა ლიტერატურულ განძად მიაჩნია და მაშასადამე დაუკარგავ შრომათ, მაშინ ილიუზიით და მანია „გრანდიოზათია“ შეპყრობილი, ეს კი დეგენერატობაა; თუ რწმენისთვის არ უღალატნია ესეც დიდი სასიამოვნოა, თუმცალა რწმენის შეცვლა არავისთვის არის აკრძალული, მაგრამ რწმენის და ან სხვა რამის დაჯატი ძლიერ უხამსი საქციელია, რწმენის შეცვლის მაგიერ მისი დაჯატი დეგენერატობაა და აგვიხსნას რომელია, იქნებ, არც ერთია.

დეგენერატი, რომელსაც იმოდენად უფრო ეტყობა დეგენერატობა, რამოდენად მეტს გამოსთქვამს, ამბობს: ,,წარმოიდგინეთ ამას არავინ დაგიჯერებთ, თქვენდა საუბედუროთ, იმიტომ რომ თვით თქვენისთანა ვაჟბატონებს აქვთ გატეხილი სახელი.“

ჩვენ არავისი დაჯერება არ მოგვინდომებია, არამედ თვით ფედერალისტთა ბანაკში დაიწყეს ჩურჩული და დღეს ზეიმი აქვთ და თქვენ გიცავენ თქვენსავით იდეიური ანემიით შეპყრობილი ფედერალისტები და ჩვენც чтобы отмежеваться от безполых существ, იძულებული ვიყავით გაგვერჩია თქვენი უტვინო, დეგენერატის თავის ნაწარმოები; услужилвый дурак опаснѣе врага. ამას გარედ, რადგან მე „მაქვს გატეხილი სახელი“, ამიტომ არავინ დამიჯერებს, მაგალითად მე ვამბობ, რომ ორჯერ ორი ოთხია და ნურავინ ნუ დაიჯერებთ, რადგან ნავარაუდევია არგუმენტაციის დეგენერაციის დეგენერატ-ავტორისაგან, რომ მე სახელი გა-

1) ჩვენ ვწუხვართ, რომ უზნეო ავტორმა ჩვენი საწინააღმეგო პასუხისა კამათს **ᲡᲣᲚ** პირადი ხასიათი მისცა.

ტეხილი მაქვს. მე თანახმა ვარ რომ იმ წრეში, რომელშიდაც B—n-ს ფასი აქვს მე სახელი გატეხილი მაქვს, მაგრამ სამაგიეროდ იმ წრეში, რომელშიდაც მე ფასი მაქვს დეგენერატ-ბატონს სახელი გატეხილი აქვს, ხოლო არის ისეთი წრეებიც, სადაც მე არავითარი ფასი არა მაქვს და დეგენერატ B—n-ს სახელი ლაფში აქვს ამოვლებული. ამასთანავე ვსთხოვ სანამ იძულებული არ ვიქნები ვაიძულო დეგენერატი, მიბრძანოს რით არის ჩემი სახელი გატეხილი საიდგან იცის და რა საბუთები აქვს?

ღვარძლიანი, როსკიპი სინდისის პატრონი და ზნეობრივად კუზიანი და კოჭლი დეგენერატი B—n-ი გვეუბნება: „ვინც თქვენ რწმენას, იდეალს“ და ადამიანობას იცნობს, ძლიერ კარგათ იცის ვინ არის რწმენისა და იდეალის მოდალატე, ან რისთვის სწირდებათ მათ „იდეალის“ გამომხატველი სიტყვების რახა-რუხი და წმინდა მართლ მადიდებელ ანარქიზმის ფარის უთავბოლო ტრიალი.“

გვიბრძანოს დეგენერატმა ვინ იცნობს ჩემ რწმენას ამგვარად, სად ნახა და გაიცნო ჩვენი ამგვარი რწმენა ზნეობრივ წუმპის ჭურჭელმა, რა ხელი გაქვთ ჩემ იდეალთან რომელიც თქვენი იდეალიც არის და თუ თქვენ ფრჩხილებში მოყვანით და კითხვითი ნიშნით რამე უმსგავსო იდეალი გინდათ მომაწეროთ, მიბრძანეთ ბარემ თუ თქვენ ქუჩის სალახანა ან პადვლის მოქალაქე **არ** ბრძანდებით, თუ სრულიად არ **გაროსკიპებულხართ**. მიბრძანე რადის რა დალატი ჩამიდენია ჩემი რწმენის და იდეალის წინაშე, წინააღმდეგ შემთხვევაში **უნდა** ვაიძულო თქვენისთანა სალახანა **უკიდურესი** იძულებით. მართლა **უსინდისო** და **დეგენერატო**, ჩემ ადამიანობასთან **რა** ხელი გქონდათ ან **რა** მიზეზი **გქონდათ** მიახლოვებულიყავით **თქვენი ჩირქიანი** ხელებით და **ზნეობით**. **მიბრძანეთ** რისთვის **დამჭირებია** **წმინდა** **მართლმადიდებელ** **ანარქიზმის** **ფარის** **უთავბოლო** **ტრიალი.**

მყრალი, არა **წმინდა, მოღალატე** **და** **იეზუიტი** [1]) **დეგენერატი** B—n-ი **ამბობს**: „რა „პარტიასაც“ ეკუთვნით,—ეს თქვენც კარგათ **უნდა** მოგეხსენებოდეთ, თუ მართლაც ჭკუაზე მწყრალად და **დეგენერატი** **არ** **ბრძანდებით.**“

აი ამაზე ჩვენ **იძულებული** ვართ ჩვენ-თვის სამწუხარო პასუხი მივცეთ: **რათ** **აყენებთ** კითხვას **გვერდით** **და** **რათ** **ამბობთ** **რომ** **იცით** **„რაც** „პარტიასაც“ ეკუთვნით.“? **თქვენ** **გინდათ** [1]) **გააკეთოთ** ჩემი ჩამოსახრჩობი მარყუჯი, **კილო, რომელშიდაც** **შენი** **მოწინააღმდეგის** **თავი** **ღილივით** **გინდა** **გაუყარო**, **მაგრამ** **ფრთხილად** **იყავი** **ჯალათურ** **ხელობაში** **არ** **მოგვიდეს** **თვით** **ის** **რასაც** **სხვას** **უმზადებ** **და** **ჩემ-თვის** **მომზადებული** **ჩამოსახრჩობ** **ბაწარში** **თვით** **არ** **გაყო** **ღილივით** **შენი** **უბადრუკი** **და** **უტვინო** **გოგრა.** **თქვენი** **ბიოგრაფია** **იმერეთის** ეპოპეიდგან **დღევანდელ** **ცხოვრების** **დაქუცმაცებამდი** **სულ** **დაწვრილებით** **ვიცი.** **ის** „პარტია,“ **რომელსაც** **მე** **მახვევთ** **თავზე** **თქვენი** **პარტიაც** **არის** **და** **საბუთებით** **მოწმეებით** **დაგამტკიცებთ.** **დაგიმტკიცებთ** **იმასაც, რომ** **ერთ** **დროს** **თქვან** **ანგარიშისთვის** **თქვენ** **აზრს** **და** **სიტყვას** **კიდეც** **აქირავებდით.** **ამასთანავე** **უნდა** **მოგახსენოთ** **რომ** **თქვენ** **პოლემიკაში** **უზნეოც** **ბრძანებულხართ:** **თქვენ** **შეგიძლიათ** **გაქვთ** **ბრალდება,** **ბრალდების** **თავისუფლება** **ამ** **ნიადაგზე,** **მაშინ** **როდესაც** **ჩვენ** **მოკლებული** **ვართ** **დაცვის** **უფლებას** **ამავე** **ნიადაგზე,** **თქვენ** **კი** **ამით** **სარგებლობთ** **და** **მკითხველის** **გონებაში** **იჭვს** **სტოვებთ,** **ეს** **კარგად** **დაწერეთ** **თეთრით** **შავ** **ქაღალდზე,** **მიიკარით** **თქვენ** **ზნეობა** **ჩამორეცხილ** **და** **სამარცხვინო** **შუბლზე** **და** **ატარეთ,** **როგორც** **მუდმივი** **ნიშანი** **თქვენი** **უმსგავსობისა.** **თქვენ** **არც** **ამით** **დაკმაყოფილებთ.** **თქვენ** **მოგეხსენებათ** **და** **თუ** **არ** **მო-**

*) რადა ჩემ სახელ-გატეხილობას მიახტა უზნეო და ინტრიგანი დეგენერატი თუ თავისი სახელის მოხვეჭა არ სურდეს.

1) ამისი სულ ფაქტები და საბუთები მაქვს ხელში.

1) თუმცაღა მე ბაკუნინი არა ვარ და დეგენერატი მარქსი, მაგრამ ფაქტი საყურადღებოა თავის უზნეობით. ბაკუნინი დაჭერილი იყო და მარქსმა თავის ორგანოს საშუალებით შპიონობა დასწამა, ეს ცილის წამება ტყუილი გამოდგა და ბაკუნინმა განთავისუფლებისას სთქვა, რომ მე პასუხს გავცემდი მარქსს. თავისუფალი რომ ვყოფილიყავ კალმით ხელში კი არა, არამედ ხელით უკალმოთა,—მე კი უნდა მოვახსენო დეგენერატს, რომ იძულებული ვიქნები პასუხი გავცე არც კალმით ხელში და არც ხელით უკალმოთ. არამედ ხელში დეგენერატის საკადრისი იარაღით, თუ თავისი უხამსობა ამ მხრით კიდე გაიმეორა ის, **რომ** **თავის** **თავიც** იქავე არ მოიხსენია სადაც მე მახსენებს.

გეხსენებათ მაიკითხეთ როგორც საჭიროა და შეიტყობთ, რომ ამ დღეებში მოჩენილი მყავს მსხვილი, მამალი მეძებარი და საქმე გამიჭირა და თუ რასაკვირველია ნადირი მოინადირეს ცხადია და გამორკვეულია, რომ დააბრალებენ მათი ბალჩის დაჯერკნას და ბალახის განადგურებას, მაშინ მონადირის წინააღმდეგ, როგორ უნდა იმართლოს თავი ნადირმა თუ მონადირეს ამხანაგებიც და ნადირის ამხანაგიც ერთი მეორეს ემოწმებიან, მადლობელი გახლავართ არა თუ „ამხანაგური“ სამსახურისათვის, არამედ კეთილ-შობილი მტრობისათვისაც, მაგრამ მზე თუმცაღა ბნელდება და შეიძლება გაბრწყვინდეს კიდეც არვინ უწყის იდბალი როგორც ხალხისა, ისე ადამიანისა... იქნება გადარჩეს რამე для того чтобы Вам досталось на орѣхи. იქნებ პროვოკატორობამდიც კი მიეთრიოს თქვენი წარმატება ამ გზაზე, როგორც შეჰფერის სალდათს რომელიც зарапортовался.

დეგენერატი გვეუბნება: „ნება მომეცით... მეც ამოვიღო ხმა ანარქიზმისა და იმის იდეალის დასაცველად,“ ისე ამბობს მეცო თითქოს რამეს წარმოადგენდეს და ძლიერ დიდი ღვაწლი მიუძღოდეს. თქვენი ორიოდე ბროშიურა ანარქისტულია, მაგრამ ჩლუნგია დეგენერატო, ბუნდოვანია და უფრო სიტყვათა თხზულებაა, ვინემ არგუმენტებისა.

დეგენერატს სურს ანარქიზმის იდეალის დაცვა განსაკუთრებით ჩვენისთანების წინააღმდეგ. იქნება გსურდეთ რომ თქვენსავით თავი ვიქო? არა! მხოლოდ ვიცი, რომ არაფერს სიდიდეს თქვენ არ წარმოადგენთ გარდა ლაქლაქისა.

ეს უბადრუკი ამბობს: „კარგა ხანია გადევნებთ თვალ-ყურს და ბოლოს იმ დასკვნამდის მივდივარ, რომ მხოლოდ ჩვენ, მართლაც გადა'მენებულ ცხოვრებას შეუძლია ასეთის ჯურის ანარქისტების შექმნა.

აი რა უნდა მოგახსენოთ: თვალი თქვენ არ გაქვს თორემ ჩვენს გარდა ჩვენ გასასწორებელ საშვალებასაც დაინახავდით აქამდი თუ ჩვენ აგრე რიგათ გვხედავთ; ყური თქვენ არ გაქვთ, თორემ გაიგებდით ან ჩვენს ან თქვენ ამბავს აქამდი. თქვენ თქვენი უბადრუკი და სამარცხვინო თავი ვერ დაგინახავთ ჩვენ რათ გვითვალყურებდით, ვერ მობრძანდით და ვერ მოგვნათლეთ თქვენ ემბაზში? მაგრამ თვით თქვენ ზნეობრივად არა წმინდა ბრძანდებით, ჩვენ როგორ გაგვაწმინდავებდი თქვენზე წმინდათ. თქვენ თქვენი დაცემის ამბავი არ გაგიგიათ და როგორ უნდა გაგეგოთ ჩვენი ამბავი? თუ ჩვენ ვართ „ჩვენ გადაშენებულ ცხოვრების“ ნაყოფი მაშინ თქვენც ხომ ამ ცხოვრებისავე ნაყოფი ბრძანდებით. თქვენ სწორედ დეგენერანტი ბრძანდებით.

Massue.

P. S. ეს პასუხი, დეგენერატის წინააღმდეგ, წევრის დეგენერაციის გზაზე მიმავალ საქართველოის როგორც დეგენერატი ამბობს უკვე დაწერილი იყო როდესაც მისი, უკაცრავათ პასუხია, „პასუხის“ მეორე ფელეტონი „ისრის“ 178 ნომერში წავიკითხე; ამ ლაქლაქის ნიმუშში წერია: თქვენ კი რომელი გზა აგირჩევიათ В-ნო კრიტიკოსო—ჯერ-ჯერობით ეს თქვენი წერილიდგან ვრა სჩანს“. თუ, მაშასადამე, ჯერ-ჯერობით ეს ჩემი წერილიდგან არა სჩანს, მაშინ რას გასცა პასუხი დეგენერატმა—ეს ფაქტია დეგენერატობისა В—п-ის მხრით და მისი „პასუხი“ დეგენერატული ნაწარმოებია. რაც შეეხება თქვენს „ზვონს“, ცოტა ჭკუით იყავით, თორემ თქვენ მაიძულებთ თქვენი მართლა ვრ ცოდნა დამამტკიცებინოდ სპეციალურად და სამუდამოთ თავი თქვენივე ხელით მოიკლათ. მოიმზადეთ თქვენი გამოლაყებული თავი, რათა მოულოდნელი არ იქნას, როდესაც შიგ ჩაგკრავთ.

სოციალიზმის სენი.

და მისი შინაგანი რეაქცია. *)

იმავე წელს (1886) როდესაც დაარსდა ნაციონალური ფედერაცია სინდიკატებისა, დაარსდა შრომის ბირჟებიც; შრომის ბირჟების ფედერაცია დაარსდა 1892 წ. ანარქისტ ფ. პელუტიეს დახმარებით და თვით იმ ლავარდელის სიტყვით, რომელიც ანარქისტების გასამტყუნებლად და გასაარარავებლად მოჰყავს ნოეს, „დახასიათებული იყო ანტიპარლამენტალური ტენდენციებით“ *). 1795 წელს დაარსდა კიდევ ანარქისტ პუჟეს დახმარებით შრომის საერთო კონფედერაცია, მაგრამ ბლანკისტები,

*) ლავარდელი, რევ. სინ. გვ. 60.

*) იხ. ქარ. № 4.

რომლებიც იღებდენ მონაწილეობას კონფედერაციაში სხვა ხასიათს აძლევდენ საერთო კონფედერაციას. სანამ განვიხილავდეთ კონფედერაციის უნაყოფო ბრძოლას ბირჟათა ფედერაციის წინააღმდეგ, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ინტერნაციონალში სამი მიმდინარეობა არსებობდა, კარგათ რომ ვსთქვათ ორი მიმართულება ერთი მარქსისტული სოციალიზმი სოც.-დემოკრატებისა და მეორე ანარქისტული სოციალიზმი ამასთანავე ერთად მუშათა ამხანაგობანი ანუ სინდიკატები და კორპორაციები, რომლებიც ხან ერთ და ხან მეორე მიმართულებას ემხრობოდა. ინტერნაციონალის დარღვევის და თვით ინტერნაციონალის დროს დაეტყო უფრო მეტი დაახლოვება ანარქისტებსა და მუშათა კორპორაციების შორის. სოც-დემოკრატებმა მიჰმართეს თავიანთ ჩვეულებრივ უსუფთავო საშუალებას ბრძოლისა ანარქისტების წინააღმდეგ.

ეხლა ვნახოთ თუ როგორი იყო განწყობილება შრომის ბირჟათა, მათი ფედერაციის და სინდიკატთა ნაციონალური ფედერაციის შორის, რომელიც წარმოადგენდა სრთს ს. მ. პარტიისა ანუ გედისტური პარტიისა, ე. ი. საფრანგეთის სოც.-დემოკრატიული პარტიის სართს.

როგორც უკვე ვსთქვით საფრანგ. სოც.-დემოკრატები გედის და ლაფარგის წინამძღოლობით მუშათა ინტერესებს იმოდენათ არ დასდევდენ, რამოდენად. თავიანთ საპარლამენტო ინტერესებს, ამან, ე. ი. პოლიტიკამ გამოიწვია პარტიული შინაგანი განხეთქილება და ბრძოლა, ამ გვარად იმათ მთელი თავიანთი ენერგია მოანდომეს ერთი მეორეის ბრძოლას და პარლამენტალურ მოღვაწეობას, მუშათა ინტერესები კი არაფრად აწუხებდათ და არც შეიძლებოდა შეეწუხებინა ის პარტიები და ფრაქციები, რომლის პოლიტიკური მიზანი, და სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება მიუცილებლად შეკავშირებულია შინაგან განხეთქილებასთან და ბრძოლასთან ერთად პოლიტიკურ და არა ეკონომიურ ბრძოლასთან; პოლიტიკური ბრძოლა და მიზანი თავის დღეში საერთო არ შეიძლება იყოს, მაშინ კი როდესაც ეკონომიური ბრძოლა საერთოა პროლეტარიატისათვის, რადგან მისი კლასობრივი, ე. ი. ეკონომიური მდგომარეობა საერთოა. უკვე ცნობილია ძირითადი განსხვავება ანარქისტებსა და ს.-დემოკრატებს შორის. პირველნი ანტიპარლამენტარისტები და მეორენი პარლამენტარისტები არიან, პირველნი ერთ სოციალურ—ეკონომიურ—პროგრამას ემსახურებიან მეორენი კი უმთავრესად პოლიტიკურ, დემოკრატიულ პროგრამას.

რა არის დემოკრატია და პარლამენტი.

დემოკრატიას სურს დაინტერესოს მთელი საზოგადოება, ყველა კლასები, ამიტომ ის არ არის კლასობრივი და მაშასადამე ეკონომიური პარტია, ის წმინდათ პოლიტიკური პარტია არის, მაშასადამე ის განყენებული აბსტრაკტული საერთო თანხმობის პარტიაა, მას სურს მისი განყენებული წარმოდგენა საზოგადოებაზე განახორციელოს, რაც შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ის მოქალაქეს ჩაგდებს განყენებულ სოციალურ ერთეულად, ამის გამო კი დემოკრატიის თვალში ყველა მოქალაქე თანასწორია მის თვალში სწორედ ისე, როგორც არითმეტიკული ერთეულები; მოქალაქეს დემოკრატიის თვალში ყველას ერთი განყენებული ფასი აქვს. და აი, სწორედ ამიტომ დემოკრატია, როგორც თეორეტიული უარყოფა კლასებისა, სცნობს საჭიროდ ხალხის სურვილის შესატყობად და ამ სურვილის დასაკანონებლად ყველასთვის საერთოდ, როგორც მათემათიკური ფორმულებია მაგალითად საერთო არითმეტიკული განყენებული ერთეულებისათვის, სცდილობს მოქალაქეთა ხმების რიცხვით, განყენებული რიცხვითი ღირებულობით ისარგებლოს და არ აქვს მხედველობაში კონკრეტული ადამიანები, თვისებითი ღირებულობა, კონკრეტული ადამიანისა სოციალურ კითხვების გადასაწყვეტად.

ამ გვარად კონკრეტული ეკონომიური სოციალური სიდიდე გადაქცეული აქვს განყენებულ პოლიტიკურ სიდიდეთ. დემოკრატიისთვის მასას აქვს მნიშვნელობა და ინდივიდუალურ შეგნებას კი ილიუზიად სახავს, მასსა ფასიანია. მაშინ როდესაც შეგნება გაფასებულია. სოც.-დემოკრატია თავიდგანვე დემოკრატიული პარტია იყო რადგან მისი დევიზი იგივე იყო და არის დღეს კიდევ უფრო მეტად: „პოლიტიკური საშუალებით სოციალური ცვლილების მოხდენა,“ დევიზი რომელსაც ემსახუ-

რებოდა ლედრიუ-როლენი და ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება დემოკრატია, მხოლოდ სოც.-დემოკრატიული ტერმინოლოგიით ეს ლოზუნგი დღეს გამოიხატება მომავალში სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდებით და დღეს მუშის ქომაგობით პარლამენტში დემოკრატიული რეფორმების საშუალებით.

სოც.-დემოკრატიული პარტია, რომელიც უწინ რადიკალურ დემოკრატიას წარმოადგენდა, თავიდგან შემდგარი დემოკრატიულ გზაზე უფრო და უფრო უახლოვდებოდა დემოკრატიულ კონსერვატიზმს, უფრო და უფრო ეზიდება დემოკრატიას, სახელმწიფოს და დემოკრატიულ განყენებულ საშუალებას ბრძოლისას—პარლამენტს.

ს.-დემოკრატიას თანდათან სცილდება ის სოციალისტური ამალგამა, რომელიც მან სოციალისტურ მოძრაობასთან ურთიერთობაში შეიძინა და იღებს თავის ბუნებრივ ხასიათს, რომელიც შესდგება მის დემოკრატიულ ცხოვრებაში, ის ცდილობს ჩაიგდოს საყოველთაო არჩევნების საშუალებით—დემოკრატიული განყენებული პოლიტიკური საშუალებით სახელმწიფო მართვა-გამგეობა ხელში და თანდათან ხდება პოლიტიკური საზოგადოების ნორმალურ იძულებითი—განყენებულ—ორგანოთ. ის ოპოზ-ციიდგან გადადის კონსერვატიზმში და თანდათან იჩენს უძლურებას კაპიტალისტურ წეს-წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ანარქისტული კავშირები და ასოციაციები ყოველთვის ეკონომიურ ნიადაგზე იდგნენ, ისინი მუდამ პარლამენტარიზმის და სახელმწიფოს წინააღმდეგნი იყვნენ და არიან არა თუ როგორც მიზნის, არამედ, როგორც საშუალებისაც კი მაშასადამე ცხადია მათი სოციალიზმის უკიდურესი ეკონომიური, კლასობრივი ხასიათი. *)

1874 წელს ბრიუსელის კონგრესზე ბელგიელმა კოლექტივისტმა [1]) წაიკითხა მოხსენება საზოგადოებრივ წარმოებაზე. 1876 წ. ბერნის კონგრესმა უარჰყო მისი შეხედულება. ბოლოს ანარქისტები დარჩენ ინტერნაციონალის ერთად ერთი ჭირისუფლები მთელი ოთხი წლის განმავლობაში, მაგრამ მათ და ავტორიტარისტების შორის ბრძოლამ გამოასალმა ინტერნაციონალი წუთი სოფელს. განდში კიდევ შეხვდნენ ერთმანეთს ანარქისტები და მარქსისტები. მარქსისტებს ხელმძღვანელობდა გერმანელი სოციალ-დემოკრატია და სურდათ რომ საწარმოო იარაღები გადასულიყო სახელმწიფოს ხელში. ანარქისტები კროპოტკინის ხელმძღვანელობით თხოულობდენ, რომ საწარმოო ირაღები კორპორაციების ხელში გადასულიყო, მარქსისტებს საჭიროდ მიაჩნდათ საარჩევნო ბიულეტენებით ბრძოლა, ანარქისტები კი მხოლოდ რევოლიუციონურ საშუალებას სცნობდნენ საჭიროდ. ამგვარად მარქსისტები უკიდურესი დემოკრატები იყვნენ იმით, რომ სახელმწიფო მათი აზრით უნდა გამხდარიყო მთელი საზოგადოების ტრანსფორმაციის, იარაღი და საშუალება, იდგნენ კლასთა თანამშრომლობის ნიადაგზე, მაშინ როდესაც ანარქისტები რევოლიუციონურ საშუალებას ემხრობოდენ და იდგნენ მუშათა კორპორაციების ნიადაგზე, ე. ი. ეკონომიურ, კლასობრივ ნიადაგზე; ლონდონის კონგრესზე 1896 წ. ანარქისტები სინდიკატების, მუშათა კავშირების წარმომადგენელებათ იყვნენ.

სოციალდემოკრატები იყვნენ და არიან ეხლაც პარლამენტარიზმის და საერთო არჩევნების მომხრე, საერთო არჩევანი და მისი შედეგი პარლამენტალური მოღვაწეობა, კი არიან, როგორც ვნახეთ, და რაც თავის თავად ცხადია, დემოკრატიული მოღვაწეობა, დემოკრატიული მოღვაწეობა, კი, როგორც ვნახეთ და რაშიაც მისი მიუდგომელი მკვლევარი ყოველთვის დარწმუნდება არის თეორიული უარეოფა კლასობრივ ბრძოლისა, და მოქალაქეთა გაერთიანება ერთ განყენებულ სოციალურ მასაში, რომელიც თანასწორ განყენებული ადამიანებისაგან შესდგება, მაშასადამე პარლამენტი, როგორც ორგანო დემოკრატიული არის კლასთა თანამშრომლობის ორგანო და არა კლასთა ბრძოლის ორგანო. თუ სინდიკატები განსაკუთრებით და უკიდურეს კლასობრივ ბრძოლის ორგანოებს წარმოადგენენ და უარჰყოფენ სავსებით კლასობრივ თანამშრომლობას, მაშინ ცხადია რომ

*) ლათაიები, რომელსაც მიედ მოედება კიდობნელი, ვსთხოვთ დაგვიმტკიცოს შესახებ იმისა, რომ ანარქისტები კლასობრივ ნიადაგზე არ დგანანო

1) ანარქისტებს კოლექტივისტებს ეძახდენ უწინ.

პარლამენტი, როგორც კლასთა თანამშრომლობის ორგანო ყოველ შემთხვევაში, უარეოფილია საკუთარი, ყოველ შემთხვევაში, და რადგანაც სახელმწიფოთა სარგებლობა უარეოფილია სინდიკალურ ორგანიზაციების მიერ ყოველ შემთხვევაში, ცხადია მაშასადამე, რომ პოლიტიკაც უარეოფილია სახელმწიფოსთან ერთად, ვინაიდგან პოლიტიკა უსახელმწიფოდ შეუძლებელია. ამ რიგად სულ ტყუილად იწუხებენ თავს ლაგარდელი და მისი მიმდევრები სინდიკალიზმის გარეშე პარლამენტალურად გამოეცხადებიათ და როგორც მომავალი მოდალტე ცდილობენ პარლამენტარიზმისკენ მიმავალი გზის დატოვებას.

ჩვენ ვხედავთ, მაშასადამე, როგორი იყო ხასიათი სინდიკალურ მოძრაობის განვითარებისა. ერთი პოლიტიკური იყო და გამოიხატა ს.-დემოკრატიულ პარტიის ზედ სართავ სინდიკატების ნაციონალურ ფედერაციაში, გედისტების, ე. ი. მარქსისტების სინდიკატებში. მეორე იყო ანარქისტული, რომელიც გამოიხატა შრომის ბირჟათა ადგილობრივ სინდიკატების ბირჟათა ფედერაციაში. ამ ორ ორგანიზაციებს შორის გაჩაღებული იყო სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. ის ფუნქციები, რომლებიც საჭირო იყო მუშათა მოძრაობისათვის ვერ შეასრულა ს.-დემოკრატიულმა სინდიკატების ნაციონალურმა ფედერაციამ, მაშინ როდესაც შრომის ბირჟები და განსაკუთრებით მათი ფედერაცია მშვენიერად და ნაყოფიერად ასრულებდა თავის კლასობრივ დანიშნულებას. ს.-დემოკრატიულმა სინდიკალისტების ნაციონალურმა ფედერაციამ გადაწყვიტა მოეხდინა კონგრესი ნანტში 1894 წ. ბირჟათა ფედერაციამაც ამიტომ გადაწყვიტა მოეხდინა კონგრესი იმავე ქალაქში, რადგან ამით დამტკიცდებოდა მოწინააღმდეგე ორგანიზაციების მნიშვნელობა. ნანტის ბირჟა არ იყო წინააღმდეგი, რომ ორივე კონგრესი ცალკ-ცალკე მომხდარიყო, მაგრამ ის ფიქრობდა ყოველივე გარემოება ხელს უწყობდა, რომ კონგრესებს ორივე მოწინააღმდეგე ორგანიზაციებისა შეერთებულიყვნენ. ნანტის ბირჟას რწმუნება ჰქონდა ორივე ფედერაციებისაგან სინდიკატების შესაერთებლად და სთხოვა ორივე ფედერაციას საერთო კონგრესი მოედინათ, ბირჟათა ფედერაცია დაუოგნებლივ დაეთანხმა, ხოლო სინდიკატების ფედერაცია ძლიერ ჯიუტობდა და სჩიოდა თავის ლმერთებთან, რომ „ცხადი განზრახვა აქვსთ მისი განადგურებისა.“ არ მოვყვებით რა საძაგლობა ჩაიდინა ნაციონალურ სინდიკატების ორგანომ, ხოლო როგორც შეეფერებოდა ნანტის ბირჟის ენერგიას, ისე მოიქცა ის კითხვის გადასაწყვეტად, მან მიმართა სინდიკატების სიბჭოს და ამათ მოუწონეს პროექტი, რის გამო სინდ. ნაც. ფედერაცია ს. დემოკრიტებისა იძულებული იყო დათანხმებულიყო მეექვსე ნაციონალურ კონგრესს საფრანგეთის სინდიკატებისა.

შემდეგი იქნება

ეროვნული და პროლეტარული ავტონომია

(შემდეგი იხ. ქარ. № 4.)

B—n-ი განაგრძობს დე-გრეფის აზრების გადმოცემას, ისეთი გულ მოდგინებით, თითქოს სოციალურ მოვლენათა განვითარების კითხვა საბოლოდ გადაეწყვიტოს დე-გრეფს. ფელეტონების დასაწყისში ამბობს, რომ „ქართველობაზე უნდა ვსთქვა ცოტა რამე და არა სერიოზული და მეცნიერულად დახატული სურათი მინდა მივაწოდო მკითხველსაო“ და ბოლოს კი ამბობს, რომ ჯერ დამიმტკიცონ დე-გრეფის კანონების უვარგისობა და მაშინ დავთანხმდებიო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დამტკიცების შემდეგაც არ დაგვეთანხმება B—n-ი, რადგან დამტკიცება B—n ისათვის ისე, როგორც მორწმუნესათვის, რომელსაც სახარება სათაყვანელად გაუხდია, შეუძლებელია. გვახსენდება ერთი შემთხვევა, რომელიც გვქონდა შვეიცარიაში. ლოზანის უნივერსიტეტის ერთი ბოლგარიელი სტუდენტი ჩამომჯდარიყო რუსების ბიბლიოთეკის კორიდორში სკამზედ და ხელში სწორედ დე-გრეფის ის წიგნი ეჭირა, რომელსაც B—n-ი სათვის ჭკუა თუ არა ტვინი მაინც გადაუბრუნებია. მივედი თუ არა ბოლგარელ სტუდენტთან ახლოს, მაშინვე მოსალმების მაგიერ მითხრა:

„იცი ეს რა წიგნია“?

ჯერ კანზე შემახედვინე ან წამაკითხე

და შემდეგ გეტყვი.

„შენ ასეთი წიგნი არც წაგიკითხავს

და ვერც წაიკითხავ მეორეს შენს დღეში“.

მეც შევეხვეწე ძლიერ, ცალი თვალით

მაინც შეეხედვინებია სათაურზე და როგორც იქნა დავინახე დე-გრეფის სახელი. შემდგომ როდესაც აგვიტყდა დავა ამ წიგნის შესახებ, ცოტა გაწყდა და კინაღამ წავიჩხუბეთ, რადგან ჩემი ეჭვები წიგნის მნიშვნელობაზე სტუდენტმა პირად შეურაცყოფად მიიღო იმოდენათ მეეთვისებია დე-გრეფს მისი გონება.

B—n-ი ჯერ გვბირდება თავის გულწრფელ, ფალსიფიკაცია მოკლებულ აზრის განაწილებას და შემდგომ ამოფარებია დე-გრეფის მთელ-თხუზულებათა სიას უკან ალბად იმ მოსაზრებით, რომ მთელი დე-გრეფის კრიტიკას ერთი წელიწადი მოუნდება უკანასკნელად ადამიანიო.

ჩვენ ამით სრულიად არ შევფერხდებით, და ვეცდებით დაბრკოლება დავძლიოთ და ენერგია ტყიულად არ გავფლანგოთ, მით უფრო დე-გრეფი სრულიად არ ცდილობს ნაციონალურ კითხვის გაზომვას თავისი მეტრით, არამედ B—n-ი თხოულობს მისგან ამსოციალურ განვითარების „არშინს“, რომელიც დე-გრეფს სულ სხვა რამეისთვის გამოუჭრია და B—n-ს კი ни к селу ни к городу უნდა მოიხმაროს. ნაციონალობა სპეციფიკური ფორმაა და სპეციფიკურ „საზომს“ [1]) მოითხოვს. დე-გრეფის „კანონები“ და „მეტრი ცივილიზაციისა“ მისივე აზრით მოსახმარია საზოგადოებრივ განვითარების საერთო ხასიათის გასაზომავად და არა კერძო ნაციონალური მომენტისათვის (დე-გრეფი აბსტრაკტული, განყენებული სოციოლოგია). ეს ინიციატივა სავსებით B—n-ს ეკუთვნის ვნახოთ, როგორ ხმარობს B—n-ი ამ კანონებს. ჩვენ არ შევეხებით მის მიერ მოყვანილ დე-გრეფის სამ კანონს პროგრესისა, რადგან ეს დე-გრეფის მთელ თეორის გარჩევას მოითხოვს და შორს წაგვიყვანს და არც კეთილ სინდისიერ კრიტიკად ვთვლით ოთხ ხუთ ფელეტონში სხვა კითხვასთან ერთად მის გარჩევას. აღვნიშნავთ მხოლოდ კერძო შეცდომებს.

B—n-ის და მისი მასწავლებლის აზრით მაგალითად: „ბიოლოგიური რეგრესსიც ასე ხდება: უფრო ახლად შეძენილი ორგანონი, როგორც ნერვეული სისტემა, უფრო ადრე იშლება, უფრო ადრე შეძენილი კი—უკანასკნელად“. ეს შეცდომაა როგორც საზოგადო მოვლენა‘ რადგან ცნობილია ბიოლოგიაში, წინააღმდეგი მოვლენაც; ცხოველის სიკვდილი, როდესაც ეს შედეგია უსაქმელობისა (abstinence) ან ერთბაშად ან თანდათან, მოხდება ხოლმე მაშინ, როდესაც რომელიმე ცხოველი თავის სიმძიმის ორმოც მეასედს ჰკარგავს შემდეგი სურათი გვიჩვენებს იმ ნაწილებს რომლებსაც ჰკარგავენ უთანასწოროდ სხვადასხვა ორგანოები:

ნაწილები რომლებიც საშვალოზე მეტს ჰკარგავენ

	0,400
ქონი	0,933
სისხლი	0,750
ტყირპი. . . .	0,714
поджелудоч. железа.	0,641
ღვიძლი . . .	0,520
გული	0,448
წელები. . . .	0,424
მამოძრავებ. მუსკ. . .	0,423

ნაწილები, რომლებიც საშვალოზე ნაკლებს ჰკარგავენ.

	0,400
სტომაქი	0,397
ყანყრატო., oesophages	0,342
კანი	0,338
თირკმელები . .	0,319
სასუნთქავი აპარატები... .	0,223
ძვლის სისტემა... . . .	0,167
თვალები	0,100
ნერვეული სისტემა . . .	0,019

„ძლიერ კურიოზულ ფაქტს ვხედავთ ამ სიაში, ეს არის სუსტი დაკარგვა ნერვეული სისტემის მიერ სიმძიმისა, სიკვდილის, მომენტშიაც კი. შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილის უმალ მათ ნამდვილად ჩანთქეს სხვა-ორგანოები“. [1]) ეს საკმაოა დე-გრეფის და მისი მოწაფის მიერ გაურჩევლად გამეორებული აზრის შეცდომის დასამტკიცებლად. ცხადია ნერვეული სისტემა უფრო ადრე არ ირღვევა ვინემ სხვა ორგანო. მაშასადამე ის აზრი, რომელითაც გული კიდევ სძგერს, მაშინ როდესაც ადამიანს გონება და სხვა ნიჭი ეკარ-

[1]) დე-გრეფის სოციალური „მეტრი ცივ-ლიზაციისა“ მოცლილი კაცის რწმენა, გასართობია და B—n-ის თუ მასხრობა არა ხუმრობა მ-ინც უნდა იყოს.

[1]) ლეტურნო ბიოლოგია.

გება, არ შეგვიძლია ვაღიაროთ საერთო ფაქტად, არის შემთხვევა, როდესაც ადამიანი მთელი თავის გრძნობა გონებით კვდება ბუნებრივი სიკვდილით. მაგრამ მაინც საკვირველია ბუნდოვანი აზრი გამოთქმული მასწავლებლის შემდეგ Б—п-ს მიერ სად ორგანო, ე. ი. ნერვეული სისტემა, სად გული, და სად ფუნქცია ორგანოთა „გონება, გრძნობა და სხვა ნიჭი, როგორც В—п-ი ამბობს, ისიც სხვა და არა თავისი შესაფერ ორგანოთა ფუნქცია, გონება ტვინის ფუნქციაა და გულის ფუნქცია სხვაა.

წინანდელ ფელეტონში ჩვენ ვამბობდით, რომ დე-გრეფს და მასთან ერთად В—п-ს სწამთ შვიდი, შვიდი საფეხური სოციალურ პროგრესის კიბისა და მეშვიდე და უკანასკნელი პოლიტიკა არისო. ამასთანავე როდესაც რეგრესია, მაშინ მათი აზრით ჯერ პოლიტიკა ირღვევა, შემდგომ ამ სახურავის ქვეშ მოქცეული ჭერი—იურიდიული ორგანიზაცია, შემდგომ მორალური და სხვა; ის ამბობს „სოციალური რეგრესიც ამ გზას მისდევს. იგი იწყება უფრო რთულ და სპეციალურ ორგანოდგან და ჩამოდის დაბლა უფრო ზოგად და მარტივზედ, პოლიტიკური ორგანიზაცია იშლება იურიდიულზედ უფრო მალე, იურიდიული მორალურზედ უფრო მალე, მორალური მეცნიერულზედ უფრო მალე“ და სხვა და სხვა. უნდა მოვახსენოთ В—п-ს რომ ფაქტიურად ეს ყოველთვის ასე არ არის ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, მორალური ორგანიზაცია ხანდახან ირღვევა და მის ადგილს ან პროგრესიული ან რეგრესიული მორალი იკიდებს ფეხს, მაგრამ მიუხედავად ამისა ეკონომიური ორგანიზაცია იგივე რჩება, წინააღმდეგიც შესაძლებელია და სხვა და სხვა. შესაძლებელია ხალხმა ტერიტორია დაჰკარგოს, მაგრამ შესაძლებელია ხალხი არ დაიღუპოს მაგალითი სომხებია და ურიები, რომლებიც არც გამქრალან და არც გადაშენებულან, მაგალითია მრავალი სხვა ერებიც, რომელსაც თავიანთი ტერიტორია თუმცაღა არ აქვთ (კოლონიები), მაგრამ მეტროპოლიაზე უკეთესი საზოგადოებრივი ორგანიზაცია აქვთ. ტყუილია მაშასადამე მოთქმა და ჩივილი В—п-ისა: „ესეც კარგად დავიხსომოთ უბედურო ქართველო მკითხველო“. ქართველი მკითხველი შეიძლება რუსულადაც კითხულობდეს და რუსი მკითხველი ქართულად. დღემდის Б—п-ი ამბობდა. კარი გავაღოთ ნურაფრის გვეშინია, თუ შამოვლენ ძმები შემოვლენო და ეხლა დამფრთხალი მტრის შემოსევის შიშით ახშობს, ჰკეტავს მაგრად ნაციონალისტურ კარებს ძმებისათვისაც კი.

მაშასადამე ტყუილია ჩამოთვლილ მაგალითებს შემდეგ გოდება, რომ ვიღუპებით ტერიტორია დავკარგეთო. ტერიტორია პროლეტარიატმა ქალაქისა და სოფლისამ კარგა ხანია დაჰკარგა და შეიძინა გაბატონებულებმა და სახელმწიფომ, მაგრამ პროლეტარიატს აღორძინების მეტი არა მოელის რა აქედგან. „ქართველი“ თავად აზნაურობა თეატრს აშენებს თბილისში მაგრამ ქართველ მუშას ერთსაც კი არ მისცა სამუშაო იმიტომ, რომ ისინიც ქართველია. ტერიტორია იმისია, რომ ის გაბატონებულთა სასარგებლო უნდა იყოს დამონებულთა გასაყვლეფავად და არა მათ საკეთილდღეოთ.

В—п-ი, როგორც „მეტაფიზიკის მაღალ ფარდებში პარპაშის“ მტერი მის მასწავლებელის სარდლობის ქვეშ ამბობს, რომ „ეხლა ვიცით სოციალურ პროგრესისა და რეგრესის კანონები დამყარებული სოციალურ ცვალებადობის და სოციალურ დინამიკის საყოველთაო კანონებზე;“ ფიცი გვწამს წინაალმდეგ მეტაფიზიკისა: მაგრამ ეს საყოველთავო კანონის მეტაფიზიკური კუდი კი გვაკვირვებს, მაგრამ ესეც რომ არ იყოს უნდა ვთქვათ რომ კიდევ უფრო გვაკვირვებს კანონები დამყარებული კანონებზე, ცოტა არ იყოს ძლიერ ქიმერიული მეტაფიზიკური და სპეკულატიური შენობაა, ვშიშობთ არ ჩამოინგრეს და В—п-ი „ფარდებს“ ქვეშ არ მოჰყვეს, კიდევ უფრო საკვირველი და საოცარია მეტაფიზიკის სიძულვილი და კანონები დამყარებული სოციალურ ცვალებადობის და დინამიკის კანონებზე, ე. ი. ცვალებადობაზე დამყარებული კანონი ანუ ცვალებადობაზე დამყარებული უცვლელობა, მუდმივობა, ანუ დინამიკაზე დამყარებული სტატიკა, ე. ი. ცვალებადი უცვლელობა და დინამიკური სტატიკა. იქნება ეს მეტაფიზიკა არ იყოს, მაგრამ დიალექტიკა მაინც არის.

აი „ამ იარადით უნდა გავთალოთ, ამბობს В—n ი, „ცივილიზაციის მეტრი“ და როდესაც გვსურს განსაზღვრულ საზოგადოების ბედ ილბლის გამორკვევა, ვიხმაროთ ეს მეტრი უტეუარ საზომათ.“ აი ამას ჰქვია заврался გინდ зарапортовался.

ნუ იტყვით თურმე დე-გრეფს ბელგიაში და В—n ს „უბედურ საქართველო'ში“ აღმოუჩენიათ ერთ-დროულად და ერთი მეორეს დაუმოკიდებლად დეოულ-და-ლენცივით „უტეუარი საზომი“ სოციალური განვითარებისა, რომელიც ზომავს ყველაფერს რასაც კი ადამიანი მოისურვებს გასაზომავად თავის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ არც ჭკუა გლისპ და უვიც ევროპას უცვნია დე-გრეფის კანონი და არც Б—n-ს კანონი უნდათ შეიწყნაროს ზოგმა უტვინო ქართველმა, „რომლებსაც ისე აქვთ შეგნებული“ სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი, „როგორც თქვენ მორჩილ მონას ჩინური ლიტერატურა“ და რომლებიც ჰბედავენ В—n-ის მონოპოლიის სფერა სოციალურ კითხვებში უზრდელად დაარღვიონ.

ეს „უტეუარი მეტრი“ შესდგება Б—n ის აზრით 1, ტერიტორიის და ხალხისაგან და 2, სოციალური დიფერენციაციისაგან თავის რეგულიარული და უმაღლესი ხარისხით მთელი სოციალური ორგანიზაცისა. რა უჭირს იმ ხალხს რომელსაც ეს მეტრი მიუღგება, მაგრამ მისი აზრით ეს მეტრი ღუპავს საქართველოს, მაგრამ შეიძლება ეს მეტრი, თუმცალა საყოველთავოა, არ გამოდგეს საყოველთაო და საქმე სხვა რიგად დატრიალდეს, ე. ი. უტეუარი მეტრი მატეუარი გამოდგეს. „აი ეს მეტრი ცივილიზაციისაა, ჩვენი დამღუპველი და სასოწარმკვეთი!“ და სხვადასხვა; ხოლო „მე როდესაც გავზომე, ჩვენი საზოგადოება ამ მეტრით გადაშენების მეტი ვერ ვნახე რა,“ ამბობს Б—n-ი; ეს მეტრი „მე ამოვარჩიე, როგორც უფრო უტეუარი“ განაგრძობს იგივე ავტორი. ე. ი. ეს საზომი რომელიც უტეუარი იყო ეხლა უფრო უტეუარია ამ უტეუარი მეტრით თუმცალა საქართველო საღვივით უტეუარად უნდა დაიღუპოს მაგრამ მას „მისივე შესაფერი წამალი“ ჰქონია, რომელიც მოარჩენს ავათმყოფ საქართველოს რადგან ეს უტეუარი საზომი სტეუის მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ ავადმყოფობას ვზომავთ, რადგან „არის ხოლმე ისეთი მომენტებიც“, როდესაც ეს მეტრი სტეუის და „როდესაც იარაღით სწყდება ხოლმე საზოგადოების ბედ-ილბალი, რადგან ტალანქი ძალა წინამორბედია ყოველისავე საზოგადოებრივ ორგანიზაციისა,“ და „ეს წამალი აუცილებელია მაშინ, როდესაც სულ თავიდგან [1]) არის საჭირო საზოგადოების აღდგენა.“

შემდეგი იქნება

საუბარი ღღევანდელ ვითარებაზე

საზოგადოთ რუსეთის და კერძოთ საქართველოის მუშა ხალხმა დიადი ევოლიუცია განიცადა ამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში. მონობის სისტემაში შობილი და აღზრდილი მშრომელი ხალხი—ის მშრომელი ხალხი, რომელიც თავისი დაუღალავი და შეუწყვეტელი ენერგით მთელ კაცობრიობას არჩენს, კულტურასა ჰქმნის, თვით მოკლებულია ყველაფერს. მას მის მიერვე შექმნილ დახარჯულ ენერგიიდამ ნაფიჩხსაც-კი აღარ არგუნებენ მასზე გაბატონებულნი პარაზიტები, რომელნიც დასწოლიან მას მაღლიდან კისერზედ და სწოვენ სისხლს შეუწყვეტლად მალულად და ცხადლივ, რომლებმაც ლამის არის თავიანთი უკიდურესი ექსპლოატაციით მთელი მწარმოებელ-პროლეტარიატის ორგანიზმი დაამახინჯონ და დააჩიავონ და მით მოსპონ კულტურისა და ცივილიზაციის ეს დიადი მჩქეფარე წყარო.

აი სწორედ ამ მძარცველ-მყვლეფელებს გამოუცხადა რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხ-კაცობამ სასტიკი ომი,—ომი ულმობელი და პირდაპირი.

აი სწორედ ამ მუშა, მშრომელმა ხალხმა მისცა დასაწყისი რუსეთის დიად რევოლიუციას, ეს ხალხი იბრძოდა რუსეთში გიგანტიურად და ანადგურებდა სოფელში და ქალაქში ძველ რეჟიმს, ანადგურებდა „რომის უფლების სისტემას“ სპობდა ყველა ანტი-სოციალურ ელემენტებს და ყველა პარაზიტებს, რომელნიც წარმოადგენდენ მშრომელთა ენერგიის ფლანგვას.

[1]) კურსივი მისია

გასჭრა მათმა გმირულმა ბრძოლამ, მოკაკვა წელში ყველა ძველის დამცველნი ანტი-სოციალური ელემენტები ასე, რომ იძულებულნი შეიქმნენ ხელი აეღოთ თავიანთ პრივილეგიებზე ეარ-ეყოთ ძველი დახავსებული წეს-წყობილება და მიეღოთ ახალი; აიძულა პროლეტარიატის პირდაპირმა ბრძოლამ რუსეთის თვითმპყრობელობა—„ჟანდარმი მეცხრამეტე საუკუნის ევროპისა", რომ გამოეცხადებინა თანხმობა ძველი წყობილების დასამარებისა და კიდევაც გამოცხადა საჯაროთ უარჰყო თვისი თავი, მაგრამ ეს იყო იეზუიტური ხრიკი, რომელიც ხშირად უხმარიათ რომის დესპოტიებს სახელმწიფოს დაღუპვიდამ გადასარჩენად და მის საზიზღარ ორგანიზაციის დასახსნელად.

აჯანყებულ-აზღვავებულ მშრომელ ხალხს იერიში მიჰქონდა ძველ წყობილების სისტემაზე,—სახელმწიფოებრივი მთავრობითი სისტემაზე და ანადგურებდა მთელ ანტი-სოციალურ დაწესებულებებს ანადგურებდა მთელ სახელმწიფოებრივ ფორმას და მის შინაარს, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დასწოლოდა მას მძიმე ლოდათ და ჰღრღნიდა მის ორგანიზმს, უსახიჩრებდა გონება-გრძნობას.

იმ დროს როდესაც მთელმა შეგნებულმა პროლეტარიატმა უარჰყო კანონები, უარჰყო სახელმწიფო მთელ თავის ატრიბუტებით, როდესაც ღრმა და მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას ახდენდა მთელ ანტი-სოციალურ შენობისას—აი სწორედ ამ დროს გამოუჩნდა მას მრავალი გაქნილი და გაიძვერა პოლიტიკანები, კანონიერების, წესიერების, სახელმწიფოებრივ სისტემის მოტრფიალენი და თაყვანის მცემელ-მადიდებელნი—აი ეს, რევოლიუციის მატლები, როგორც სხვაგან, სხვა ქვეყანათა რევოლიუციის დროს, მოევლინებოდნენ ხოლმე ხალხს და ასუსტებდნენ მის რევოლიუციონურ ენერგიას, უხშობდნენ მას უკეთეს მომავლისადმი მისწრაფებას, აქრობდნენ მასშიდ რევოლიუციონურ ცეცხლს და სწამლავდნენ მთელ მის არსებას სახელმწიფოებრივობის და პოლიტიკის საწამლავით. ჩვენში აი ეს, ეს პოლიტიკანები მოგვევლინენ ჩვენც, გაჩნდენ რევოლიუციის დაწყებისათანვე და იწყეს ქადაგი კანონის სახელმწიფოის და მთავრობის მნიშვნელობაზე სოციალურ ტრანსფორმაციის მოხდენისათვის

თავიდგანვე ამ პოლიტიკანებმა მოსწამლეს რევოლიუციის ბუნებრივი მსვლელობა და ბოლოს იქამდის მიიყვანეს საქმე, რომ იგი (რევოლიუცია) ქუჩიდგან მინდვრიდგან „ტავრიდის სასახლეში" გადაიტანეს და იქ მოამწყვდიეს მოახშეს ოთხ კედელ შუა და აი, მას შემდეგ ყველა გონიერისათვის და შორს-მჭვრეტელ ადამიანისათვის ცხადი იყო რომ მთელი პროლეტარიატის მსხვერპლი ამაოდ ჩაიღლიდა და მთელი მის მიერ დაპყრობილი პოზიციები მტრის ხელში თანდათან გადავიდოდა, რომ მის დაპყრობილ უფლებებს რეალურ მხარეს წაართმევდენ და ქაღალდზედ-ღა დასტოვებდნენ ხალხის თვალების ასახვევათ. სამწუხაროდ მართლაც ასე მოხთა. საუკეთესო მაგალითია პირველი და მეორე., „დუმის" მოღვაწეობა, თუ როგორ დააძინეს ხალხი და მით საშუალება მისცეს უარყოფილ მთავრობას ხელ ახლა წარმოდგომისა და ძველ წყობილების საფუძვლების აღდგენისა; ასე რომ დღეს მწარე ოცნებად უნდა ჩაითვალოს ფიქრი და მოლოდინი ყველა იმ გულ-უბრყვილოთა, რომლებსაც დიდი იმედი აქვსთ მთავრობისა და „დუმის", უფრო კი „დუმისა" თითქოს ამ რა ღაც „დუმას" რაიმე მათი ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება შეეძლოს.

აი, ყველა ამ ზემოდ აღნიშნულ ფაქტის შემდეგ ჩვენი ზნეობრივი მოვალეობა მოითხოვს, რომ ხმა ამოვიღოთ, როგორც მუშამ და მუშის ინტერესებისთვის გულ-შემატკივარმა და გაუზიარო ჩემი აზრი ჩემს თანამოძმეებს შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ რისთვის უნდა ვიბრძოლოთ რა ტაქტიკას დავადგეთ და რა გვარი ორგანიზაცია შევქმნათ მტერთან, კაპიტალიზმთან ბრძოლის გასაწევათ.

კაპიტალისტურ წეს-წყობილებას ებრძვის დღეს მუშათა კლასი ე. ი. ის ებრძვის კერძო საკუთრების სისტემას. მუშათა კლასი ებრძვის კერძო მესაკუთრეებს ამ არა პირდაპირ და პირდაპირ ქურდების დამცველ სახელმწიფოს, ებრძვის მესაკუთრეთ, რომელთაც ძალით მთელი საწარმოო იარაღები, მთელი სოციალური სიმდიდრე მიუთვისებია და სარგებლობს რა ამ

უზურპაციის უფლებით, ეწევა უკიდურეს ექსპლოატაციას მუშათა კლასისა. ის, ვინც არავითარ წარმოებითი როლს არ ასრულებს სიმდიდრე-ფუფუნებაშია ჩამხჩვალი და ის კი, ვინც მთელ კაცობრიობის სიმდიდრესა ჰქმნის, თავის სისხლით და ოფლით დედამიწას აპოხიერებს, უკიდურეს სიღარიბეში და სიღატაკეშია, ის ვერ, სარგებლობს ამ მის მიერ შექმნილ სიმდიდრით ის ვერ სარგმბლობს თავის პირდაპირ ნაყოფით.

აი იმისთვის, რომ პროლეტარიატმა ეს უსწორ მასწორობა მოსპოს, სიმდიდრე-სიღარიბე აღგავოს დედამიწის ზურგიდან და გაამეფოს და სხვა თავისუფლება, გაასაზოგადოვოს მთელი სიმდიდრე მრავალ საუკუნეთა შექმნილი, მან ამის გამოსახატავათ იხმარა ტერმინი „სოციალიზმი“ რომლის განხორციელების იმედი გულს სიამით უვსებს და მატებს ენერგიას.

რომ ეს ბრძოლა ზემოთ დასახელებულ პრინციპების თახმად სწარმოებდეს მუშათა კლასმა, პროლეტარიატმა უნდა შექმნას მჭიდრო ეკონომიური ორგანიზაცია, წმინდა მუშური კავშირი ანუ სინდიკატი, რომელიც არსებობს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოებში, სადაც-კი მუშებს შეუგნიათ პოლიტიკანების არარაობა მათი იეზუიტობა, მაგალ. მძლავრია სინდიკალისტური მოძრაობა საფრანგეთში ეს პანიაში იტალიაში და ეხლახან გერმანიაშიაც-კი შეაშუქა მისმა სხივებმა დოკტორ ფრიდბერგის დახმარებით, სადაც ფართე აგიტაციას ეწევა საყოველთავო გაფიცვის იდეის გასავრცელებლად იქაურ მუშებში და ამ ბოლო დროს იაპონის მუშებშიც გაიმარჯვა სინდიკალიზმის იდეიამ და უარყოფილი იქმნა პარლამენტარიობა, კენჭობის თამაში.

ჰო, რომ მუშათა კლასმა გაიმარჯვოს, მისმა ბრძოლამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს, როგორც დღემდის ხდებოდა, მისი ენერგია ტყუილ-უბრალოდ არ დაინთქას, მან უნდა უარჰყოს პოლიტიკანობა, მან უნდა უარჰყოს პოლიტიკური პარტიები იგი უნდა ჩამოშორდეს იმ გაქნილ ადვოკატებს იგი უნდა ჩამოშორდეს ერთი სიტყვით მთელ პოლიტიკურ მექანიზმს და შეიქმნეს ავტონომიური, უპარტიო, არა პოლიტიკური მუშათა ორგანიზაცია, მან უნდა შექმნას მაგარი პროფესიონალური ორგანიზაცია და იმოქმედოს სახელმწიფოსა და ბურჟუაზიული დაწესებულებათა გარეშე, და წინააღმდეგ მან ბრძოლა უნდა გამოუცხადოს კაპიტალისტთა კლასს ბურჟუაზიას პროლეტარიატის ბრძოლა მიმართულია ეკონომიური თავისუფლებისაკენ, ეკონომიური თავისუფლება კი მოასწავებს სოციალურ ეკონომიის დამყარებას და მაშასადამე პოლიტიკური ეკონომიის—კერძო და სახელმწიფოებრივ საკუთრების—იძულებითი ეკონომიის უარყოფას.

სახელმწიფო თავის ატრიბუტებით გზირია კერძო საკუთრების სისტემისა, გზირია ეკონომიურად გაბატონებულ კლასისა ამ გაბატონებულ კლასის განადგურება, განადგურება ეკონომიურად გაბატონებულ კლასისა იქნება განადგურდება მისი დამცველი და ანტი-სოციალური ელემენტისა სახელმწიფოისა.

და თუ მუშათა კლასმა ღღესაც ყურადღება არ მიაქცია თავის თავს, თუ კრიტიკულად არ შეხედა თავის თავს და იმოქმედა ისე, როგორც დღევანდლამდე მოქმედებდა, თუ არ ჩამოშორდა პოლიტიკურ პარტიებს, რომელთა პრინციპსაც შეადგენს „ზევიდგენ ქვევით“, თუ არ უარჰყო ის ცრუ-პენტელა ხელმძღვანელები, რომლებიც საუკეთესოთ და მწარე სიტყვებით დაახასიათა მარქსმა: უსაქმო ადვოკატები ჯ. ბილიარდზე მოთამაშე სტუდენტები, ექიმნი პრაქტიკას მოკლებულნი პრიკასჩიკები და სხვა მრავალი წვრილი ჟურნალისტები რომლებსაც სოციალიზმი თავიანთ კუჭის ინტერესების დამაკმაყოფილებელ იარაღად გაუხდიათ და მეტი არაფერი.

ასე და ამნაირად, როგორც ზევითაც ვსთქვით პროლეტარიატი პოლიტიკურ პარტიებს არ უნდა დაეყრდნოს და თავისი ბედ-იღბალი მას არ უნდა ჩააბაროს; თავის თავის ხსნის კითხვა, მონობის უღლიდგან განთავისუფლება მას არ უნდა მიაჩეჩოს გადასაწყვეტად, არამედ თავის ბედ-იღბლის გადამწყვეტი თვითონვე უნდა შეიქმნეს. მუშათა დიადი და მნიშვნელოვანი ასოციაცია ამავე აზრს გამოსთქვამდა, როდესაც შეიკრიბა პირველათ 1866 წ. ქ. ლონდონში მან დაადგინა რომ მუშათა განთავისუფლების საქმე თვით მათ მიერვე უნდა მოხდესო, მათთან

პოლიტიკანებს პარლამენტარიებს საქმე არ უნდა ჰქონდეთ; მუშათა კავშირი არის წმინდა მწარმოებელთა კავშირი კლასობრივი ორგანიზაცია გამზადებული ეკონომიურ ნიადაგზედ საბრძოლველად.

ეხლა ჩვენ შეგვიძლიან შემდეგი დასკვნა გამოვიყვანოთ ზემოთ ნალაპარაკევიდან: ჩვენ განვიხილეთ და გამოვარკვიეთ შემდეგი: პროლეტარიატი, როგორც ერთ განსაზღვრული ინტერესის მქონე, ერთ კლასიურ თვით შემეცნებით აღჭურვილი არ უნდა იბრძოდეს თავის განსაზღვრულ მიზნისთვის სახელმწიფოებრივ დაწესებულებებში, პარლამენტით თავის თავს არ უნდა იტყუებდეს იმიტომ რომ იგი დარწმუნდა და რწმუნდება პარლამენტის სიფუქსავატეში მისი უვარგისობაში, მისთვ ს, მას ენების მეტი სარგებლობა არ მოუტანია მუშათა კლასისათვის; თუ შემთხვევა ყოფილა და მას რაიმე დაუკანონებია ისეთი, რომ პროლეტარიატს ესარგებლოს, ეს მომხდარა მხოლოდ პროლეტარიატის მასზე ძალდატანების ხმარებით, თორემ მას თავისით არაფერი არ შეუძლიან მისცეს პროლეტარიატს, პარლამენტი იმას აკანონებს რაც უკვე ცხოვრებაში მომხდარი ფაქტ ა. მაშასადამე პროლეტარიატმა ზურგი უნდა შეაქციოს სახელმწიფოის მთელ მექანიზმს, რომ მისგან არავითარი სიკეთე არ წარმოსდგება გარდა ბოროტებისა და მიმართოს თავის საკუთარ ძალას თავის განსათავისუფლებად.

მაშასადამე ვხედავთ, რომ სახელმწიფოს საშუალებით ჩვენს მიზანს ვერ განვახორციელებთ რადგან ის გაბატონებული და არა ჩვენი საშვალებაა, ეს მხოლოდ უტოპიაა. ამის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია სხვა მეორე ბრძოლის საშუალებას მივმართოთ, რომელსაც ეს რაა მოდენიმე წელიწადია დაადგა მრავალი რევოლიუციათაგან მოტყუებული საფრანგეთის პროლეტარიატი, ე. ი. შექმნა თავისი პროლეტარული ორგანიზაცია წოდებული რევოლიუციონური სინდიკალიზმათ, რომელიც ყოველგვარ პოლიტიკურ სკოლათა გარეშე სდგას სახელმწიფოს ფარგლებს გარეშე მოქმედობს და მიზნათ უსახელმწიფოებრივო სოციალიზი აქვს.

აი ჩვენშიც, სწორედ ამ ფორმის ამ გვარი მუშური ორგანიზაცია უნდა შევქმნათ, რომ წმინდა მწარმოებელთა კავშირი იყოს, და არა ინტელიგენტთა და არა-მწარმოებელთა კავშირი, როგორც დღეს რუსეთშია, სადაც ამახინჯებენ პროფესიონალურ კავშირებს, სადაც მუშებს შიშს მორჩილებას და თაყვანისცემას უნერგავენ გულში სახელმწიფოისა კანონიერებისადმი წესიერებისადმი და სხ ამისთანებით უბნელებენ გონებას მუშების მ მოდენიმე ნაწილის.

შეევერთდეთ და შევქმნათ ერთი განსაღვრული პროლეტარული ორგანიზაცია ან სინდიკატი, როგორც ეს საფრანგეთში მ ვალ რევოლიუციაში გამოცდილმა მუშებ შექმნეს, თორემ, თუ ყურადღებას არ მივაცევთ ჩვენს თავს და ჩვენ ბედ-იღბლის გადაყვეტას სხვას, ვიღაც იეზუიტ-პოლიტიკანმელეონებს მივანდობთ, მაშინ ჩვენი საქმე დ ღუპულია, რომ ჩვენ არაფრის იმედი აღ უნდა გვქონდეს, არამც თუ სოციალიზმის არამედ უბრალო პალიატივისაც-კი.

მუშა.

განცხადება

ვთხოვთ პროვინციის ჩვენ აგენტებს გაგვისწორონ ანგარიში შემდეგ ნომრის გამ სვლამდე, თორემ **იძულებული** ვიქნები **შევსწყვიტოთ** შემდეგი ნომრების გზავნა.

ამასთანავე გთხოვთ ფული **პირდაპი** რედაქციის სახელზე გამოგზავნოთ. კერძო ნურავის გადასცემთ.

22 ივლისიდან ქალ. თბილისში გამოდის

ყოველ—კვირეული ქართული სამეცნიერო—ლიტერ ტურულ-კრიტიკული და საზოგადოებრივ—ეკონომ ური გაზეთი

„ქარიშხალი“

მიიღება ხელის მოწერა მხოლოდ პროვინციებ დან, გაზეთი ეღირება წლიურათ 4 მან. ნახევარ წლით — 2 მ. სამ თვით 1 მ. ცალკე ნომერი ღირ **რვა კაპ**

გაზეთის რედაქცია და კანტორა ყოველ-დ ღიაა. დილით 10—2 ს. და საღამობით — 5—7 ს კვირა-უქმე დღე 10—12 ს.

ადრესი: Тифлисъ: Семеновская ул №4 типографя „Надежда“ редактору газе ты „Каришхали“.

რედაქტორ-გამომცემელი ივ. ებრალიძე

სტამბა „ნადეჟდა“ კ. თავართქილაძისა. სემენოვის ქ. № 4.